ახალი ხარაგაული

397 (5) 15 აპრილი, 2019 წ.

9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა

9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან 30 წელი გავიდა. ეს დღე ქართველი ერის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული, მაგრამ ამავე დროს საამაყო ფურცელია. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ, ჯარითა და ტანკებით მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რომლის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა ქალები, მათ შორის იყო ხარაგაულელი ელისო ჭიპაშვილი. უდანაშაულო ადამიანების თავგანწირვამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. ამიტომ ეს დღე, არა მარტო გლოვისა და ტრაგედიის, არამედ მადლიერებისა და სოლიდარობის გამოხატვის სიმბოლოდ იქცა.

წელს, 9 აპრილს, საქართველოს მასშტაბით, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ღონისძიებები სახელწოდებით „მადლობა თავისუფლებისთვის“, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და უშუალოდ იმ დღეების მონაწილე ხარაგაულელებმა, 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

21 გარდაცვლილი გმირის მემორიალურ დაფასთან მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისი მამა თომამ (ლაცაბიძე) აღავლინა.

ბაზალეთში ელისო ჭიპაშვილის სახელობის ხეივანი გაშენდა

ბაზალეთის საჯარო სკოლაში 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს ის ტრაგიკული მოვლენები, რაც 30 წლის წინ თბილისში დატრიალდა. აღსაზრდელებმა დიდი სიყვარულით ისაუბრეს მათივე თანასოფლელ ელისო ჭიპაშვილზე, რომელიც ამ ტრაგედიას 24 წლის ასაკში ემსხვერპლა. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ელისო 6 თვის ფეხმძიმე იყო.

ღონისძიებას ბაზალეთის თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თემურ ჩხეიძე, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 9 აპრილის საბედისწერო ღამეზე ისაუბრა გოჩა კოპაძემ, რომელიც ამ დღეს რუსი

ჯარისკაცების მიერ გაშვებული მხუთავი აირით მოიწამლა. „ეს იყო უდიდესი ტრაგედია. მომიტინგეებს პირდაპირ თვალებში გვასხამდნენ მომწამლავ გაზს. უნდოდათ, მთავრობის სასახლეში შევეყვანეთ და ასე რომ მომხდარიყო , მსხვერპლიც უფრო მეტი იქნებოდა. დიდი გმირობა გამოიჩინა მაშინ პოლიციამ, ბოლომდე იცავდნენ მთავრობის სასახლეს. საშინელი სანახაობა იყო ჩვენ თვალწინ, ტრაგედიას უკვალოდ არ ჩაუვლია. დაღვრილ სისხლს მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მინდა, სწორედ ამ შინაარსით მოგილოცოთ ცხრა აპრილი,“ - აღნიშნა გოჩა კოპაძემ.

9 აპრილის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ვრცლად მიმოიხილეს იმდროინდელი ისტორიული ფაქტები საკრებულოს დეპუტატებმა: ვარლამ ჭიპაშვილმა, პაატა გოგოლაძემ და ბაზალეთის სკოლის დირექტორმა იზოლდა ოკრიბელაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს, სოფელ ბაზალეთში, ელისო ჭიპაშვილის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მისივე სახელობის ცაცხვების ხეივანი გაშენდა და ბარელიეფი დაიდგა. გმირის სახელს ატარებს ასევე, ხარაგაულში ერთ-ერთი ქუჩა. ელისომ არაჩვეულებრივი თავგანწირვისა და გმირობის მაგალითი მისცა თანამედროვეებს.

მოლითი-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა იწყება

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ჩუმათელეთის 50კმ - იანი გზის მეორე ლოტის, მოლითი-ჩუმათელეთის 26 - კილომეტრიანი მონაკვეთის, მშენებლობა ამ გაზაფხულზე დაიწყება. ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „აკორდის“ წარმომადგენლებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ თოფურიძესთან, ისაუბრეს.

მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 26 - კილომეტრიან მონაკვეთზე, პროექტის ფარგლებში, იგეგმება ორზოლიანი, 9მ. სიგანის, ასფალტის საფარის მოწყობა, 13 ხიდის მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა და საყრდენი კედლების მშენებლობა.

სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ გზის მშენებლობას ორი მიმართულებით ერთდროულად დაიწყებენ, როგორც მოლითიდან, ასევე ჩუმათელეთიდან.

ხარაგაულის მერთან შეხვედრის დროს საუბარი შეეხო ასევე ადგილობრივების დასაქმებას, რასაც კომპანია აუცილებლად გაითვალისწინებს.

გაცნობებთ, რომ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ჩუმათელეთის 50კმ- იანი გზის პირველ ლოტზე, ძირულა-ხარაგაულის 25 კმ-იან მონაკვეთზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რომელსაც კომპანია black see group -ი ახორციელებს.

ვერტყვიჭალაში ახალი საბავშვო ბალი მიმდინარე წელს აშენდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებლად ფართის გამოსაყოფად მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან პასუხი მიუვიდა. როგორც წერილშია აღნიშნული, სამინისტრო თანახმაა, სოფელ ვერტყვიჭალაში საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული, საგანმანათლებლო საქმიანობისთვის გამოუყენებელი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 410 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას საბავშვო ბაღის აშენების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ვერტყვიჭალაში ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაღს მუნიციპალური განვითარების ფონდი ააშენებს. ამ ეტაპზე საბავშვო ბაღის მომსახურებით 40 აღსაზრდელი სარგებლობს.

მოგეხსენებათ, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე ავტობანის მშენებლობის მიზნით, სოფელ ვერტყვიჭალაში მოქმედი საბავშვო ბაღის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი წითელ ზოლში ხვდება, თავად ბაღის შენობა კი მოძველებული და სააღმზრდელო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის თითქმის შეუსაბამოა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური პროგრამების ხარჯი 26 ათასი ლარით გაზარდა

პირველ აპრილს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ სახაზინო - საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ გააცნო. სხდომაზე ფრაქციის „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილმა მოითხოვა, განემარტათ, თუ სად წავიდა მერიისთვის ავტომობილის შესაძენად განკუთვნილი 43 ათასი ლარი. „თებერვალში მხარი არ დავუჭირეთ მერიისთვის ავტომობილის შეძენის საკითხს და შევთანხმდით, რომ ეს თანხა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებისკენ მიმართულიყო. ახლა ეს თანხა რომ გადმოვიტანოთ სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარების პროგრამაში, რა გვიშლის ხელს? ამასთან დაკავშირებით უკვე ერთი თვეა, წერილობით მივმართე მერიას,“- განაცხადა საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

თორნიკე ავალიშვილის პოზიცია გაიზიარეს სხდომაზე მყოფმა სხვა დეპუტატებმაც და საკითხის დღის წესრიგში დამატება მოითხოვეს.

როგორც სხდომაზე მერის მოადგილე თეიმურაზ ჩხეიძემ განმარტა, სოციალური მიმართულებით დაფინანსება აუცილებლად გაიზრდება. მისივე თქმით, ერთ თვეში უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ რომელი მიმართულებით არის პრიორიტეტული თანხების გაზრდა - სამედიცინო-გამოკვლევებისათვის, თუ ერთჯერადი დახმარებებისათვის.

საბოლოოდ, დეპუტატები და მერიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე სოციალური პროგრამების დაფინანსება 26 ათასი ლარით გაიზრდებოდა, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და ერთჯერადი დახმარების ხარჯების ქვეპროგრამაში მიიმართება. გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, 4000 ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის რემონტისათვის; 2 800 ლარი ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ საკანალიზაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის - მაღალი წნევის ტუმბოსა და მილების შესაძენად; 5300 ლარი ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს“ წაგებული სასამართლო დავის აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადასახდელად; 8000 ლარი ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ უსინათლოთათვის, ბრაილის შრიფტით წერა-კითხვის სწავლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის; 7600 ლარი ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს,“ მათ შორის, 4000 ლარი C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია-შიდსზე და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის უზრუნველსაყოფად და 3600 ლარი სველი წერტილების მოსაწესრიგებლად.

თამარ მაღრაძე

სიკეთე და თავდადებული შრომა იყო მისი ცხოვრების წესი...

არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს წუთისოფელში გავლებული ღრმა კვალით. ამის დასტური იყო 7 აპრილს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხსოვნის საღამო, რომელიც მიეძღვნა ჩვენს თანამემამულეს, სახელოვან და საამაყო ბაზალეთელს გიორგი (ჟორა) ნანიტაშვილს, რომელსაც ხარების საუფლო დღესასწაულზე 85 წელი შეუსრულდებოდა...

სამწუხაროა, რომ ამ ჭეშმარიტმა ქართველმა მხოლოდ 44 წელი დაჰყო მზიან სამყაროში და, ძნელი წარმოსადგენი არაა, რამდენი იდეა დარჩა ფრთაშეუსხმელი, ქვეყნისთვის საჭირო რამდენი საქმე განუხორციელებელი, ყველაფერი ეს კი ისეთი პროფესიონალის ხელს, გულსა და გონებას მოითხოვდა, როგორიც იყო ეს ნიჭიერი მეცნიერი და გამორჩეული ხარაგაულელი.

აი, ხელთა გვაქვს გაზეთ „კომუნისტის“ 1978 წლის 11 აპრილის ნომერი, რომლითაც სრულიად საქართველოს ეუწყა ახალგაზრდა მეცნიერის გარდაცვალება და მისი კოლეგების დიდი გულისტკივილი 44 -წლიანი ნაყოფიერი ცხოვრების ნაადრევი შეწყვეტისა.

გიორგი (ჟორა) ვარლამის ძე ნანიტაშვილი დაიბადა 1934 წლის 7 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაზალეთში. 1954 წელს დაამთავრა ნავთობის ტექნიკუმი, ხოლო

1959 წელს - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის სპეციალობით. 1953 წლიდან 1959 წლამდე იგი მუშაობდა „საქნავთობის,“ კავკასიის „ნახშირგეოლოგიის,“ „ჰიდროენერგოპროექტისა“ და მეცნიერებათა აკადემიის ხაზით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს გეოლოგიურ-საძიებო ნავთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს კომპლექსურ ლაბორატორიაში, ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ მუშაკად.

1964 წელს გიორგი ნანიტაშვილი ამთავრებს გროზნოს ნავთობის ინსტიტუტის ასპირანტურას და ამავე წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „კოლხეთის დეპრესიის მეზოზური და ქვედაპალეოგენური ნალექების წყლები“. მის კალამს ეკუთვნის 25 სამეცნიერო ნაშრომი. 1973 წელს მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს დედამიწის სიღრმული სითბოს გამოყენების სამმართველო, რომლითაც ფართო გასაქანი მიეცა რესპუბლიკაში თერმული წყლების გამოყენების საქმეს.

ამ წლების განმავლობაში მან თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა და ორგანიზატორული ნიჭის მქონე სპეციალისტმა.

* * *

გვეამაყება, რომ გიორგი (ჟორა) ნანიტაშვილი ჩვენი მიწის მკვიდრია. მას ხომ უსაზღვროდ უყვარდა თავისი „ადგილის დედა“ თავისი ბაზალეთი და ხარაგაული. სასურველია ყველამ იცოდეს, რომ ხარაგაულში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა მის სახელს უკავშირდება. დიდ პროფესიულ საქმიანობას შეჭიდებულ ვაჟკაცს არასდროს რჩებოდა ყურადღების მიღმა ხარაგაული და ხარაგაულელები. მან განსაზღვრა, რომ „მარნის ჭაბურღილები“ წყალთან დაკავშირებით ბევრ პრობლემას გადაუჭრიდა ხარაგაულს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ჭაბურღილით მარაგდება ეკოლოგიურად ძალზე ხარისხიანი წყლით მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, საბავშვო ბაღი და საავადმყოფო. ხაზგასასმელია ისიც, რომ ახალგაზრდა მეცნიერი ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სთავაზობდა თავის რაიონს...

* * *

აქვე, სოფელ ვარძიაში, ცხოვრობს ჟორა ნანიტაშვილის ერთადერთი და, დამსახურებული პედაგოგი, ვარძიელი ახალგაზრდების არაერთი თაობის აღმზრდელი, კოლეგების, მეზობლებისა და აღზრდილთათვის ერთ-ერთი საყვარელი და საიმედო პიროვნება ქალბატონი ჟუჟუნა ნანიტაშვილი. ქალბატონი ჟუჟუნა 83 წლისაა, უკვე დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ მისი სული და გული კვლავ სკოლის- მომავალი თაობის ზრუნვისკენაა მიპყრობილი.

ამ წერილის ავტორთა სურვილი იყო, რომ კიდევ უფრო ახლოს გავცნობოდით ღვიძლი დის მეშვეობით ბატონი ჟორას გამორჩეულ ზნე-მაღალ თვისებებს.

-ჟორას სიკვდილმა ჩემი გული და სული წაიღო. ის მარტო მე კი არა, ოჯახს საახლობლოსა და მთელ საზოგადოებას დააკლდა. იყო შეუდარებელი მამა და მეუღლე. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა სხვათა თანადგომა. გამორჩეულად სწავლობდა სკოლაშიც, ინსტიტუტშიც და მისაბაძი იყო ყველასათვის; რომ იტყვიან, გაუჩენელს გააჩენდა ადამიანების დასახმარებლად - ცრემლმორეული გვესაუბრება ქალბატონი ჟუჟუნა და თან ხელაკანკალებული გვიჩვენებს სათაყვანო ძმის წარმატებების აღმნიშვნელ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების გაყვითლებულ ფურცლებს, სურათებს, უკვე რელიკვიად ქცეულ მის სხვადასხვა ნივთს...

- ჩემი გოგონა ლელა რომ ცოცხალია და კარგი ოჯახის პატრონია, ეს ჩემი ჟორას მადლია, - განაგრძობს ქალბატონი ჟუჟუნა- სწორედ მისმა გულისხმიერებამ გამოსტაცა სიკვდილს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჩემი პატარა. ლელას სულის მეგზურად ახლავს ის სითბო, როცა საყვარელმა ბიძამ საახალწლოდ საავადმყოფოში მიუტანა ნაძვის ხე, და მოურთო უამრავი სათამაშოთი. სიკეთე და თავდადებული შრომა მისი ცხოვრების წესი იყო, რომელსაც არასდროს ღალატობდა...

დავემშვიდობეთ ქალბატონს და თან გამოგვყვა სინანულის გრძნობა - რა იქნებოდა არსთაგამრიგეს მეტი დრო გამოეყო ამ კარგი ქართველისათვის. რაოდენ ღრმა ფესვებს გაიდგამდა მისი კვლევები მეცნიერებაში და რამდენ სიკეთეს აზიარებდა 85 წლის ჟორა ნანიტაშვილი ბაზალეთს, ხარაგაულსა და სრულიად საქართველოს!

ლელა გუგულაშვილი
მერი გიორგიძე

ჩვენი გუნდის პრიორიტეტი სოფლის უკეთესი მომავალია...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მოასფალტდა ცენტრალური გზა, აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, მოეწყო გარე განათება. ეს ტემპი დღესაც გრძელდება, თუმცა სოფელში პრობლემა ბევრია. მერის წარმომადგენელი წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რევაზ სხილაძე, რომელიც აღნიშნულ თანამდებობას 2014 წლიდან იკავებს ძალ-ღონეს არ იშურებს, რაც შეიძლება მეტი სიკეთე შეჰმატოს სოფელს და მოქალაქეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ელემენტარული პირობებით. მისი სურვილია, რაც შეიძლება უფრო მეტი ადამიანი დაუბრუნდეს მამაპაპისეულ კერას.

„მერის წარმომადგენლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, როგორც თანასოფლელების, ასევე იმ პოლიტიკური გუნდის წინაშე, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. 2013 წლიდან ჩართული ვარ ამ პროცესში და სრულად მაქვს გაზიარებული, რა უფლებამოსილება მაკისრია. დღევანდელმა ხელისუფლებამ საკმაოდ ბევრი გააკეთა ჩვენი სოფლებისთვის. გეგმები კიდევ ბევრია, რომელთა განხორციელებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ, როცა ყველა ერთად ზრუნავს უკეთესობისთვის, დამეთანხმებით, გადაუჭრელი არაფერია. როგორც ყველა ქართველს, მეც მინდა, ძლიერ საქართველოში ვიცხოვროთ, მაგრამ სოფელი თუ არ გაძლიერდა, ეს სურვილი სურვილად დარჩება. ამიტომ გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, როგორ შევუწყოთ ხელი მოსახლეობას, რომ არ დატოვონ მამაპაპისეული კერა. იმისათვის, რომ ადამიანებს გაუმარტივდეთ სოფლად ცხოვრება, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ამიტომ დღევანდელი მმართველი გუნდისთვის პრიორიტეტი, რომ გაკეთდეს მთავარი გზები, აშენდეს საბავშვო ბაღები, მოწესრიგდეს სასმელი წყლის სისტემები, გაზიფიცირდეს სოფლები - სწორი და მნიშვნელოვანია.

წყალაფორეთი ერთ-ერთი პირველი სოფელია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სადაც 2014 წელს მოასფალტდა ცენტრალური გზა, მოეწყო გარე განათება, დაიდგა ნაგვის ურნები და აშენდა საბავშვო ბაღი. 2017 წელს ბეტონის საფარი დაიგო ლახუნდარის ცენტრალურ გზაზე. წელს დასრულდა ბუდიანეთში გზის რეაბილიტაცია. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს ლახუნდარის გზის 1 - კილომეტრიან და სოფლის ჩიხის 485 - მეტრიან მონაკვეთებზე. ასევე ბეტონის საფარი უნდა დაიგოს ხონში გზის 1,5 კმ მონაკვეთზე და წყალაფორეთში, გაბეხაძეების უბანში. წელს ვგეგმავთ საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიის მობეტონებასაც.

-როგორც ვიცით, განახლდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“. რომელი პროექტებია თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტული ?

-„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში საერთო კრებები ზუსტად ისე ჩატარდა, როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული. წყალაფორეთის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, გამოყოფილი 12 000 ლარი სამ პროექტზე გადანაწილდება. ეს პროექტებია: ბუდიანეთის უბანში საუბნო გზების მოხრეშვა, წყაროს სათავის მოწყობა გაბეხაძეების უბანში და ბეტონის სანიაღვრის მოწყობა კუდარავა-კუპრაძეების უბანში, ლახუნდარის მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით ეკლესიისა და კავილაძეების უბანში სასმელი წყლის ჭაბურღილის გაკეთება გადაწყვიტა. ჭაბურღილის სისტემის მოწყობისათვის საჭირო მასალებს შეიძენს პატარა ვარძიის მოსახლეობა. ხონში პრიორიტეტად საუბნო გზების მოხრეშვა დასახელდა. რაც შეეხება ჩალხაეთს, აქ 10 000 ლარით ცენტრალური გზა შეკეთდება.

პრობლემა კვლავ ბევრია სოფლებში, თუმცა ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია. დიდი სურვილი გვაქვს, ადმინისტრაციულ შენობასთან გავაკეთოთ მინი სტადიონი და დასასვენებელი სკვერი.

- ძირითადად რა პრობლემები აწუხებს წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას?

- უმთავრეს პრობლემად რჩება სოფლებში წყალმომარაგების საკითხი, რაშიც აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი ხელისუფლება და, ვფიქრობ, უმოკლეს ხანში დადებითად გადაიჭრება. დროულად უნდა მოხდეს წყლის მიწოდება წყალაფორეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის, საჯარო სკოლისთვის და ამბულატორიისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაციები გვქონდა მუნიციპალიტეტის მერთან ბატონ ნიკოლოზ თოფურიძესთან, შესაბამის სამსახურებთან და გადავნყვიტეთ, რომ გაკეთდეს ჭა და ცალკე წყალმომარაგების სისტემა ჰქონდეთ ამ დაწესებულებებს.

მოსახლეობისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ხე-ტყეზე მიუწვდომლობა. ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს კანონი და გლეხს ჰქონდეს იმის საშუალება, ელემენტარული საჭიროების მასალა გამოიტანოს ტყიდან.

რთულია სოციალური ფონიც. არიან ოჯახები, რომლებიც ყოველგვარი შემოსავლის გარეშე ცხოვრობენ, არ აქვთ ხელფასი, პენსია, სოციალური შემწეობა. ვცდილობთ, ასეთ ოჯახებს გვერდით დავუდგეთ და დავეხმაროთ. მინდა, რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი და ბედნიერი ადამიანი ცხოვრობდეს ჩვენ ირგვლივ.

-გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე, რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს წლებში?

-ჩვენი გუნდისთვის სოფლის მომავალზე ზრუნვა და ფიქრი უპირველესია და ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება. ნაბიჯ-ნაბიჯ, სწორი დაგეგმვით უნდა წავიდეთ წინ... მთავარია, ადამიანებს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ სოფლიდან წასვლაზე აღარ იფიქრონ. სასიხარულოა, რომ ინფრასტრუქტურას დიდი ყურადღება ექცევა, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია სოფლად ადამიანების შეჩერების. საუბარია წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების გაზიფიცირებაზეც. უკვე დაპროექტდა კიცხის თემი და დიდი იმედია, რომ მიმდებარე სოფლებშიც მალე მივა ეს სიკეთე. სოფელში განათლებული და ენერგიული ახალგაზრდები ცხოვრობენ, აქვთ საინტერესო იდეები. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და ერთობლივი ძალებით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ.

ლელა გუგულაშვილი

უბისს-შორაჯნის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მაისის თვეში დაიწყება

თბილისი - სენაკი - ლესელიძის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის ხევი-უბისის (F2) 12 - კილომეტრიან მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობის მიზნით, ტენდერში გამარჯვებულმა ჩინურმა კომპანია „Hunan Road and Bridge Construction Group-მა“ აღნიშნულ ტერიტორიაზე ბაზებისა და მინი საწარმოების განთავსება დაიწყო.

კომპანიისა და ხარაგაულის თვითმმართველობის წარმომადგენლების ერთობლივი შეხვედრა, ძირითადად, სწორედ ამ საკითხებს შეეხებოდა. ხარაგაულის მერ ნიკოლოზ თოფურიძესა და კომპანიის მენეჯერს შორის შედგა ასევე შეთანხმება, რომ გზის მშენებლობის პროცესში მაქსიმალურად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, მათ ათეულობით მუშახელი დასჭირდებათ.

მასშტაბური პროექტის მშენებლობის დაწყებამდე მოსამზადებელ სამუშაოებს კომპანია, როგორც თავად ვარაუდობენ, 2 თვეში დაასრულებს.

ნიკოლოზ თოფურიძემ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ხევი-უბისის ავტობანის მშენებლობა. ხარაგაულის მერის განმარტებით, გზის რეაბილიტაციის პროცესში არაერთი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას, ამიტომ ადგილობრივ თვითმმართველობასა და მშენებელ კომპანიას შორის მჭიდრო კომუნიკაცია აუცილებელია. ხევი-უბისის 12 - კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც იქნება 4- ზოლიანი, 35 ახალი ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობაა დაგეგმილი. პროექტის ღირებულება 732 296 478 ლარია.

სამუშაოები სამ წელიწადში უნდა დასრულდეს.

დეპუტატებმა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის შუალედური ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. ჯაბა ბერაძემ ვრცლად ისაუბრა იმ სიახლეებისა და აქტივობების შესახებ, რომლებიც უშუალოდ სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება. მან ყურადღება ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე გაამახვილა და განმარტა, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 20 მარტამდე კომისიაში შესულია 1 247 განცხადება. აქედან დადებითად გადაწყდა 598, უარყოფითად კი 123, წარმოება შეწყვეტილია 42 განაცხადზე, ხოლო წარმოებაშია 500 - მდე განაცხადი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს.

მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობის ვერუზრუნველყოფაზე, დაუსრულებელ ინვენტარიზაციასა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის არარსებობაზე ისაუბრა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

გაგრძელება ▶ გვ 3.

მაცოცხლებელ არტერიას ნუ გადავუჭრით!

ბრძენს უთქვამს - გამეორება ცოდნის დედაა. ჰოდა, ჩვენც ნუ ავარიდებთ თავს ამ სიბრძნეს და, ნამდვილად საჭიროებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდეთ დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონებას (საბედნიეროდ, შეგონებაც ბევრი გვაქვს და შემგონებელიც ბევრი გვყავს, მაგრამ, ჩემი აზრით, შობლიურ ენასთან პიროვნების დამოკიდებულება - პასუხისმგებლობის საკითხზე ილიასეული შეგონება მაინც უკეთესთა შორის უკეთესია და ნამდვილად არ გვაწყენს მისი ხშირ - ხშირად გამეორება!).

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა - პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას.

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

შევჩერდეთ შეგონების ბოლო ნაწილზე, რომ ენა არის საზოგადო და არა პირადი საკუთრება, რომ არ გვაქვს უფლება ჩვენს ნებაზე ვცვალოთ ცაკლეულ სიტყვათა მნიშვნელობა - შინაარსი. ძალიან ხშირად მსმენია, ჟურნალ - გაზეთებშიც ამომიკითხავს და ტელეჟურნალისტებთან ინტერვიუში ხშირად შემხვედრია წინადადება: „ამ პოზიციაზე დავინიშნე,“ „უკვე სამი წელია, ამ პოზიციაზე ვმუშაობ“ და ა.შ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მავანი იმ სამსახურებრივ თანამდებობას ეხება, რომელზეც დანიშნეს, ან იქნა არჩეული. იქნებ ვცდები და ჩემთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია ენის სწავლულთა კომპეტენტური კომისიისგან დადგენილ - შეჯერებული ენობრივი ნორმები ან ახალი განმარტებითი ლექსიკონი გამოვიდა, რომელშიც სიტყვა „პოზიცია“ სხვაგვარადაა განმარტებული. (ხელთა მაქვს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული პროფესორ არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული. (1968 წ.) ამჯერადაც მთავარი რედაქტორი აწ განსვენებული არნოლდ ჩიქობავაა - მშვიდობა მის სულს!).

მაშ, ასე: სიტყვა „პოზიცია“ (ლათ. მდგომარეობა) რამდენიმე მნიშვნელობითაა განმარტებული:

რისამე მდგომარეობა, მდებარეობა, განლაგება (პარალელურად - სამხედრო მნიშვნელობა - ჯარის განლაგების ადგილი).

თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, პრინციპული დამოკიდებულება მის მიმართ; მოქმედება, ქცევა, რომელიც ამ თვალსაზრისით არის გამოხატული.

სხეულის მდგომარეობა, პოზა რომელიმე მოქმედების, ვარჯიშის შესრულების დროს; სიმებზე თითების განლაგება ხემიანი საკრავის დაკვრის დროს; საწყისი მდგომარეობა ცეკვის ამა თუ იმ ილეთის შესრულების წინ; ფიგურების განლაგება ჭადრაკის ან შაშის თამაშში.

(იხ. ქეგლ, ტ. 6, გვ. 251, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960).

ისე, ძვირფასო მკითხველო, შეიძლება არც ვენდოთ, ეს ლექსიკონები ხომ „წითელი პროფესორების,“ ან უკეთუ „ჩარეცხილი პროფესორების“ გამოცემულია! ნება თქვენია!

უამრავთაგან კიდევ ერთი მარგალიტ - განაცხადი მინდა, შემოგთავაზოთ: კამათში არ შევდივარ! („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ რა გირჩიოთ? ნუ შეხვალთ, ბატონებო, კამათში, იქ ათასგვარი უსიამოვნება და თავსატეხი შეგხვდებათ... შედით (შებრძანდით) რესტორანში, კინოთეატრში, კულტურის ცენტრში, ვფიქრობ, ჯანმრთელობისათვის და მეტადრე ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის ეს უფრო სასარგებლოა!

მინდა, ყველა ქართველსა და ქართული ენის სიტკბოს ნაზიარებ ყველა არაქართველს ერთი მოკრძალებული თხოვნა შემოგბედოთ, ნუ დაელოდებით 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, რეგულარულად გავაშუქოთ პრესაშიც, ტელევიზიაშიც, ნებისმიერ შესაბამის შეკრებებზე მშობლიური ენის სიჯანსაღისათვის საჭირბოროტო საკითხები, მარტო სკოლასა და მასწავლებლებს ნუ ავკიდებთ უმძიმეს ცოდვას - რომ ქართულად სწორმეტყველება და გრამატიკული ნორმები ვერ ასწავლეს შეგირდებს...

მინდა, მივმართო ჩვენს დიდ იმედს, ჩვენს მოსწავლე - ახალგაზრდობას:

-ხშირად გამოგვეხმაურეთ (არა მარტო გაკვეთილებზე!) მშობლიურ ენასთან მიმართებაში თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას. ხელოვნურად ნუ შემოვიტანთ „ახალ კანონებს“ (მხედველობაში მაქვს ასო - ბგერა „ლ-ს“ („ლანის“) მეტყველებაში ზოგიერთთაგან ამაზრზენად დარბილება. რბილი ნიშანი (мягкий знак) რუსული ენისათვისაა უმნიშვნელოვანესი, ქართული ენის საოცრებათა კანონმდებელს - ზენაარს - ეს ჩვენი ენისათვის საჭიროდ არ მიუჩნევია (კიდევ შეგახსენებთ: „ენა საღვთო რამ არის!...“). ნუ დაგვავიწყდება, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია და ესა თუ ის ენობრივ ნორმად აღიარებული სიტყვა ფორმაცვალებას ექვემდებარება, მაგრამ „თავის მოსაწონებლად,“ განათლებულობის საბუთად ნუ გამოიყენებთ ისეთ სიტყვებს, რომელთა ზუსტი შესატყვისებიც უხვად გვაქვს მშობლიურში. მაცოცხლებელ არტერიას ნუ გადავუჭრით ჩვენს არსებაში იის სურნელით გაჯერებულ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას!„

გფარავდეთ უფალი და თქვენც „ჩვენი კაცობის გვირგვინს“ - მშობლიურ ქართულ ენას!

მერი გიორგიძე

ნიკოლოზ ჯალბაღონი
(„მე თქვენ მიყვარხართ!“)

უკვე ოთხ წელზე მეტია, რაც ერთ-ერთი ძალზე საპატივცემულო ქალბატონის ე.წ. „ფეისბუქის“ გვერდზე ყოველ სისხამ დილით ჩნდება ასეთი სიტყვები: „მე თქვენ მიყვარხართ!“.

ძნელი ამოსაცნობი არაა ამ მაგიური სიტყვების ფასი ნებისმიერი ადამიანისათვის. წარმოიდგინეთ: იღვიძებთ დილით, რთავთ კომპიუტერს და ზოგიერთი ჩვენი საინფორმაციო საშუალებების მსგავსად კი არ „მოგახარებენ“ - რამდენი ავარია მოხდა წუხელ ღამით, რამდენი ადამიანი დაიღუპა, რამდენმა მიიღო მძიმე ტრავმა, რამდენი ადამიანია რეანიმაციის განყოფილებაში გადაყვანილი ხელოვნურ სუნთქვაზე, არამედ სიყვარულს გიცხადებენ, სითბოთი გავსებენ, დადებითი ემოციით გმუხტავენ , ისეთ განწყობას გიქმნიან, რომ იგი მთელი დღე მიგყვება. სიცოცხლე გიხარია, გულით გემღერება. ფიქრობ: ღმერთო, რა კარგები არიან ადამიანები იმიტომ, რომ მათ მე ვუყვარვარ! რა კოსმიური ენერგიის მატარებელია სიტყვა „მიყვარხარ!“...

ჰოდა, ამ სიყვარულის გამო, ადამიანებისადმი ამ საოცარი თანადგომის, მხარდაჭერისა და მეგობრობის გამო მადლიერმა ხალხმა იმ ადამიანს, რომელიც ამ სიტყვებით აღვიძებს, დაახლოებით, 5 ათასამდე მის ფეისბუქელ მეგობარს, „სიყვარულის ქალბატონი“ უწოდა.

ის ქალბატონი კი, რომელიც ამ ჯადოსნური სიტყვებით აღვიძებს ქალაქს, გახლავთ იზა ვეფხვაძე - მრავალმხრივად ნიჭიერი ადამიანი - სცენარისტი, პოეტი, პუბლიცისტი, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი.

„მე თქვენ მიყვარხართ!“ ამ ახალი სპექტაკლით წარდგა თავისი საფიცარი ხარაგაულის მაყურებელთა წინაშე იზა ვეფხვაძე 14 თებერვალს, „ვალენტინობას“. სამწუხაროდ, ამ წერილის ავტორს იმჯერად არ მიეცა საშუალება, რომ უშუალოდ კიდევ ერთხელ ეხილა მსახიობის გარეგნული მშვენება და დამტკბარიყო ამ მშვენიერებას შერწყმული მისი ღვთიური ნიჭიერებით. თუმც გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ მეშვეობით, რომლის არაიშვიათი მკითხველიც ვარ, ჩემთვის ცხადი გახდა ის დიდი ემოცია, რაც ამ სპექტაკლმა გამოიწვია მაყურებელში. თუმცა ეს სინანული პოზიციური მუხტით განტვირთა მის მიერ დედაქალაქში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სცენაზე წარმოდგენილმა სპექტაკლმა, რომელიც თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობის უნიჭიერესი იაკობ ტრიპოლსკის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. შემთხვევითი არაა, რომ საავტორო სპექტაკლს სახელად „მოსიარულე სიკეთე“ შეურჩია. ეს უმშვენიერესი შესიტყვება ხომ „ამაყ გუდამაყრელს“ გოდერძი ჩოხელს ეკუთვნის, რომელიც ისევ და ისევ ქალბატონ იზას „ილბლიან-ბარაქიანმა“ სიტყვამ „გააცოცხლა“ ამ სამიოდე წლის წინ სპექტაკლით „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“.

ამ უიშვიათესი, საქართველოში ერთადერთი სახალხო ლიტერატურული თატრის ღრმაშინაარსიანი რეპერტუარისა და ქალბატონ იზა ვეფხვაძის საშემსრულებლო ხელოვნებისადმი ყოველთვის დიდია ინტერესი. ამჯერადაც დარბაზი კი არა, მიმდებარე დერეფანიც კი ვეღარ იტევდა ფეხზე მდგომ მაყურებელს.

თუ არ ვცდები, ქალბატონი იზა უკვე სამოცდახუთამდე საავტორო სპექტაკლის შემოქმედია. სცენარების შერჩევის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი არის „საუკეთესოთა შორის საუკეთესო“. მაგრამ არსებობს სხვა კრიტერიუმიც, რომლის გათვალისწინებაც უწევს ქალბატონ იზას. ეს არის შერჩეული პიროვნების ეროვნულობა, ქართველობა, ანუ რამდენად ძლიერად უძგერს მას სამშობლოსათვის გული. რამდენად მისაბაძი და სანიმუშო გახდება მისი საქციელი მსმენელისა და მაყურებელისათვის. ამ მიდგომაში კარგად იკვეთება, თუ რა ფუნქციას აკისრებს ქალბატონი იზა თავის სპექტაკლებს. ეს , გარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ფუნქციისა, არის აღმზრდელობითი ფუნქცია. კერძოდ, კი პატრიოტული აღზრდის ფუნქცია. რატომ იქცევა ასე? იმიტომ, რომ ქალბატონმა იზამ კარგად იცის, რომ გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ჩვენი ეროვნული გადარჩენის ერთადერთი გზა არის ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით, ქართული მენტალიტეტით.

არაგაულისადმი „ნდობა, პატივი“ იმდენად დიდ აქვს ქალბატონ იზას, რომ მას უნდა, მისი მშობლიური კუთხე მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში იყოს. ამიტომაც ატარებს ამ რაიონში ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურს „ოდეონს“ და ასევე მხატვართა პლენერებს. გაჰყავს რესპუბლიკის ცნობილი მხატვრები ხარაგაულის რაიონის ულამაზე სოფლებში და უქმნის ყველა პირობას, რომ მათ შექმნან მხატვრული ტილოები.

ამოუწურავია ამ მშვენიერი ქალბატონის ფანტაზია, ულევია მისი ენერგია, უკიდეგანოა მისი სიყვარული ყოველივე ქართულისადმი. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ახალგაზრდა ქალი კიდევ ბევრ სასნაულს შეასხამს ფრთებს და საინტერესო სიახლეებით გაახარებს მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს! მწამს, არასოდეს განელდება ხარაგაულისადმი უკიდეგანო სიყვარულის ის ძალა, რომელიც ასეთი ღვთიური მადლით ხმიანობს ქალბატონის პოეტურ სულში:

„არ შემიძლია, მე ვერ ვიცოცხლებ, შენ გარეშე და შენს უნახავად!“

მე, როგორც ამ უნიკალური თეატრის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, ჩემს ხმას ვუერთებ ქართული მოაზროვნე საზოგადოების იმ შეფასებებს, რომლებითაც იკვეთება ჭეშმარიტი აზრი კულტურის ამ უმშვენიერესი კერისა და მისი სულისჩამდგმელი ქალბატონის მიმართ.

უკვე ოცდახუთი წელია, რაც ქართული ნიჭიერების ალამი ფრიალებს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის თავზე. მისი სხივები სრულად საქართველოს ეფინება, ათბობს, ამშვიდებს და ამშვენიერებს.

ვულოცავ ამ ღირსსახსოვარ თარიღს თეატრს. დაე, სიკეთე და ღვთის მადლი არ მოჰკლებოდეს მის მესაჭს - სიყვარულის ქალბატონს!

ფილოსოფოსი, ანთროპოლიგო,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
რეზო ბალანჩივაძე

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ▶ ᲒᲕ 2.

თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, ის სამსახურის მუშაობას უარყოფითად აფასებს, რადგან ვერ მოხერხდა იმ შენიშვნების გათვალისწინება, რაც წინა ანგარიშის წარმოდგენის დროს გამოიკვეთა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე არ დაეთანხმა დეპუტატის მოსაზრებას და ხაზგასმით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში ქონების ინვენტარიზაცია დაწყებულია და ძალიან მარტივად შეუძლია ყველას მიმდინარე პროცესის ნახვა. „ეს არ არის მარტივად გასაკეთებელი პროცედურა, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს, რომელშიც ასევე კონკრეტულადაა გაწერილი ვადები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქონების აღწერა ექვს თვეში ვერ დასრულდებოდა. მთავარია, დავიწყეთ და ეს პროცესი წლის ბოლომდე დასრულდება. აღირიცხება და დაინიშნება ყველა მუნიციპალური ქონება.“ - განმარტა ჯაბა ბერაძემ. რაც შეეხება ხარაგაულის ეკონომიკური განვითარების გეგმას, სამსახურის უფროსი აღნიშნავს, რომ მუშაობა ამ მიმართულებითაც დაწყებულია და მერია ჩართულია პროექტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის,“ რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით მუნიციპალიტეტებს ეხმარება გეგმის შემუშავებაში. მიმდინარეობს ასევე შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, ბიზნესმენებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

სამსახურის საქმიანობით უკმაყოფილოა ასევე ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე და მიიჩნევს, რომ მეტი მუშაობაა საჭირო. „რა შენიშვნებიც წინა ანგარიშის წარმოდგენის დროს მივეცით, არ არის გათვალისწინებული. მათ ჰქონდათ დრო, თუმცა ნაკლი ვერ გამოასწორეს. დღეს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შევცდი, როცა წინა მოსმენისას სამსახურის საქმიანობა დადებითად შევაფასე,“- განაცხადა პაატა გოგოლაძემ.

ფრაქციის - „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილის, ქეთევან ზუმბაძის, თქმით, ის არგუმენტები და შენიშვნები, რის გამოც დეპუტატები სამსახურის ანგარიშს უარყოფითად აფასებენ, არც წლების წინ იყო გათვალისწინებული და დღევანდელი კრიტიკა პიროვნული დამოკიდებულებითაა გამოწვეული. დეპუტატმა აქვე დასძინა, რომ გასულ წლებში არც ინვენტარიზაცია ჩატარებულა და არც ეკონომიკური განვითარების გეგმა ყოფილა, თუმცაღა იგივე დეპუტატები დადებითად აფასებდნენ აღნიშნული სამსახურის საქმიანობას.

დადებითად შეაფასა სამსახურის საქმიანობა ფარცხნალის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ ჭიპაშვილმა. მისივე განმარტებით, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა გარკვეულ საკითხებზე მუშაობა დაიწყო და შედეგი რომ ვნახოთ, საჭიროა, მივცეთ დრო. ჭიპაშვილის განცხადებით, თუ წლიური ანგარიშის წარდგენისას არ იქნება შენიშვნები გათვალისწინებული, მაშინ თვითონაც საკმაოდ კრიტიკული იქნება.

საკრებულოს მორიგ სხდომას 29 დეპუტატი ესწრებოდა. აქედან მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მუშაობა უარყოფითად ოცმა დეპუტატმა (მანანა ბარბაქაძემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, პაატა გოგოლაძემ, ოთარ ლურსმანაშვილმა, აკაკი ლურსმანაშვილმა, შალვა ლურსმანაშვილმა, გივი თხელიძემ, დავით კიკნაძემ, მარინე ხვედელიძემ, ია პაქსაშვილმა, ეკა შველიძემ, ბესო ტალახაძემ, დოდო ხაჩიძემ, ლადო ტალახაძემ, ზურაბ ხაჩიძემ, ლენა აბაშიძემ, ირაკლი ფერაძემ, იულონ კოპაძემ და მალხაზ ფხალაძემ) შეაფასა.

დადებითად შეაფასეს: რუსუდან გიორგაძემ, ქეთევან ზუმბაძემ, ნიკოლოზ მაღრაძემ, აკაკი მაჭავარიანმა, დავით მაღლაფერიძემ და მიხეილ ჭიპაშვილმა. თავი შეიკავეს: ნონა ზურაბიანმა, თორნიკე ავალიშვილმა და თემურ ფცქიალაძემ.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ვერტყვიჭალაში, ბლიაძეებისა და გოგიაშვილების უბანში, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 1300 - მეტრიან მონაკვეთს, რისთვისაც 151 068 ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბილდერი-2018“ ასრულებს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ასევე სოფელ ხიდარში, ჯორტების უბანში. პროექტის ფარგლებში გზის 1 200 - მეტრიანი მონაკვეთი რეაბილიტირდება, რომელიც ჯორტების უბნის ბოლო მოსახლემდე მივა.

აღნიშნული გზით 50-მდე ოჯახი ისარგებლებს. სამუშაოების ღირებულება 151 932 ლარს შეადგენს და კომპანია შპს „გურია-2015“ ასრულებს.

მუნიციპალიტეტის მერმა ხელი მოაწერა ასევე შპს „ჭედა-2012-თან“ და შპს „ალპედესთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ფარცხნალსა (ბარის უბანში) და ისლარში უზრუნველყოფენ გზების რეაბილიტაციას.

გზის 1 კმ-მდე მონაკვეთის კაპიტალური შეკეთება იგეგმება ღუდუმექეთშიც. გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „გურია-2015-თან,“ რომელიც ცენტრალური გზის 1კმ-მდე ამორტიზებულ მონაკვეთს ჩაუტარებს კაპიტალურ რეაბილიტაციას.

პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი 78 394 ლარით დააფინანსებს.

აქცია - „თბილი ხელები“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოციალური აქცია - „თბილი ხელები“ მოეწყო. აქცია გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მისი წევრის, გიორგი მუხურაძის, ორგანიზებით გაიმართა, რომლის ფარგლებშიც გენდერული საბჭოს წევრებმა შეაგროვეს ტანსაცმელი სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება.

ტანსაცმელი კინოთეატრის შესასვლელში გამოიფინა და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

აქციის ორგანიზატორების თქმით, მსგავსი ღონისძიებები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და თხოვნით მიმართავენ მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს აქციაში აქტიურად ჩართვისაკენ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირი ის მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, რომელიც მუდამ მზადაა, სხვადასხვა საშუალებით უახლესი ინფორმაცია მიაწოდოს ამ სფეროში მოღვაწე ყველა პიროვნებას, საჭირო შემთვევაში ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს და იზრუნოს ქვეყნის საიმედო მომავლის გასაძლიერებლად.

რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით ბევრი რამაა დამოკიდებული ძირეულ ორგანიზაციებზე. ჩვენდა საბედნიეროდ, ერთ - ერთი ასეთი ძირეული რგოლია ხარაგაულის რაიონული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეა ქალბატონი ლალი ვაქერ - სებისკვერაძე. ქალბატონ ლალის წარმატებული მუშაობისა და ხარაგაულის საგანმანათლებლო სფეროს მუშაკთა მიერ მის მიმართ გამოცხადებული ნდობის ფაქტორია, რომ ქალბატონი ლალი დემოკრატიული წესით უკვე მეოთხედაა არჩეული თავმჯდომარედ.

,,ᲔᲜᲓᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ!“

ოპტიმისტურია ჩვენი რწმენა რესპუბლიკური ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც საქმის მცოდნე, ძალზე ერუდირებული, მაღალი პროფესიონალიზმითა და ადამიანთა მიმართ სიყვარულის გრძნობით გულგაჯერებული ქალბატონი მაია კობახიძე ლიდერობს.

ინტერესთან შერწყმულმა პატივისცემამ განსაზღვრა, რომ ხარაგაულიდან 22 მარტს სამი მიკროავტობუსით გაემგზავრნენ პედაგოგები, საბავშვო ბაღის მუშაკები და სხვა დაინტერესებული პირები ზესტაფონში, სადაც შესაბამისი რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან ერთად საინფორმაციო შინაარსის შეხვედრა შედგა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის პრეზიდენტთან ქალბატონ მაია კობახიძესთან და ვიცე პრეზიდენტებთან - მარი ალუღიშვილთან და ნათია კორძაძესთან.

შეხვედრას განსაზღვრავდა სლოგანი „ენდე მასწავლებელს!“

პრეზიდენტმა, ქალბატონმა მაია კობახიძემ, დაწვრილებით, შთამბეჭდავად და ღრმაშინაარსიანად ისაუბრა საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. ძალზე უშუალოდ დაამყარა კონტაქტი მსმენელთან, რასაც მოჰყვა მათი აქტიური ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრამ საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა, დაღლილობა არავის უგრძნია.

აღნიშნული წერილის მიზანი სულაც არაა დეტალურად შეაფასოს შეხვედრის მთლიანი სპექტრი.

მინდა, როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაიას კარგი ქართულისათვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის პროფესიით მათემატიკოსია. წლების განმავლობაში დედაქალაქში წარმატებული გზა განვლო, როგორც მათემატიკის ნიჭიერმა პედაგოგმა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იგი ასევე ძლიერია, როგორც ორატორი და კარგი მოქართულე.

ქალბატონო მაია!

ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავ ერის ჭეშმარიტ დღესასწაულს - ქართული ენის დღეს! ღმერთმა უმრავლოს ჩვენს მამულს თქვენნაირი პატრიოტები, რომელთა მეტყველებაშიც სრულყოფილად ჩანს ფლობა იმ კანონებისა, რომლითაც ზეობს და მზეობს ენა ქართული!

მერი გიორგიძე

„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ 860 000 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს 860 000 ლარი გამოეყო და, საერთო ჯამში, 192 პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარე წელს აღდგა და პროექტების უმრავლესობა წყლის სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ასევე გარე განათების ქსელის მოწყობასა და წისქვილების რეაბილიტაციას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობამ წინასწარ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები სოფლის კრებებზე განიხილა და პრიორიტეტული საკითხები თავად აირჩია, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ღია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ფარული კენჭისყრით აირჩა.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ხარაგაულში წყლის სისტემის რეაბილიტაცია იგეგმება. პროექტის შესაძენად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერი უკვე დასრულდა და გამარჯვებულ კომპანიასთან, შპს „არქ დიზაინმშენთან“ - ხელშეკრულება გაფორმდა.

პროექტის ღირებულებით 180 000 ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებში ლეღვნის სათავე ნაგებობიდან სოფელ დიდვაკეში, საღანძილესა და დაბა ხარაგაულში შემომავალი წყლის სისტემის მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია იგეგმება. მოხდება ასევე რეზერვუარის მოწყობა, კორპუსების შიდა გაყვანილობის აღდგენა და მოსახლეობა წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

ხარაგაულში სულ წყლის ორი სათავე ნაგებობაა: ლეღვნისა და პატარა ხარაგაულის. ნალექის მოსვლის შემთხვევაში, ლეღვნის სათავე ნაგებობაში წყალი იმღვრევა, რის გამოც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხარაგაულის სერვისცენტრი წყლის მიწოდებას აჩერებს და ეს გარკვეულ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას. მეორე სათავე ნაგებობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და ამ წყლით მხოლოდ ახალი საავადმყოფო და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ორგანიზებით, ხარაგაულში საჯარო სკოლებს შორის კალათბურთის ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატში(ვაჟებს შორის) ნადაბურის, ვარძიის, კიცხის, ვერტყვიჭალის, დაბის N3, მარელისის, ბორითის, დაბის N2 და ხევის საჯარო სკოლის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაბის N3 და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ, რომელიც N3 სკოლის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

გამარჯვებული გუნდი სიმბოლური საჩუქრით, ხოლო გუნდის წევრები ნამახალისებელი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარებას გოგონებს შორისაც გეგმავს, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ

6 აპრილს სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დარბაზში (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ამავე სამსახურისა და მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სპორტის დამსახურებული პედაგოგები, რომელთა უშუალო ჩართულობით საჩვენებელი შეჯიბრებები გაიმართა.

შეხვედრაზე იმყოფებოდა მერის მოადგილე თეიმურაზ ჩხეიძე, რომელმაც ღვაწლმოსილ პედაგოგებს ღირსშესანიშნავი დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ განმარტა, მსგავსი თარიღების აღნიშვნა მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, ამ ადამიანებმა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში უდიდესი შრომა გასწიეს, რაც ნამდვილად დასაფასებელია.

დასასრულს, მოწვეულ სტუმრებს (ნაზიბროლა სებისკვერაძეს, ჟორა მაჩიტიძეს, ღუტუ ღონღაძეს, ჯამბულ ბანცაძეს, ზაალ მესხს, გიგა ბერაძეს, სოსო აბაშიძეს, თამაზ შარიქაძეს, მერაბ იჩქიტიძეს, სულიკო დონაძეს, ზაზა მესხს, კოტე სახვაძეს, ივანე ღონღაძეს, ანზორ მაღრაძესა და მარლენ გრიგალაშვილს) ორგანიზატორთაგან სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ასევე მერიის დაფინანსებით ვეტერანი სპორტსმენებისთვის ალაფურშეტი მოეწყო.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორის: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12